1.3 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება - (30 03)

**პროგრამის განმახორციელებელი: შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი**

**ათას ლარებში**

| **პროგრამის კოდი** | **დასახელება** | **წლიური დამტკიცებული მოცულობა** | **წლიური დაზუსტებული მოცულობა** | **საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება** | **საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში** | **საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)** |
|---|---|---|---|---|---|---|
| **30 03** | ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება | **12 500.0** | **12 500.0** | **4 786.4** | **38.3%** | **95 393.1** |

**საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:**

- მიმდინარეობდა ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა ობიექტების დაცვითი მომსახურებით უზრუნველყოფა, განსაკუთრებული მნიშვნელობის, არაგაბარიტული, სახიფათო, მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილება, ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა (ინკასაცია);
- ობიექტებზე შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევებში ხდებოდა ოპერატიული რეაგირების ჯგუფების გასვლა (საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 83 839 გასვლა);
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობდა დეპარტამენტის სარგებლობაში არსებული პლაცის ტერიტორიაზე სასწავლო ოთახის, დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის ამორტიზირებული კიბის უჯრედების (ცენტრალური და სათადარიგო), მე-6 სართულის დერეფნის და გლდანი-ნაძალადევის დაცვის პოლიციის სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სანიტარული კვანძების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში განხორციელდა ამორტიზირებული სამგზავრო ლიფტის დემონტაჟი და ახალი სამგზავრო ლიფტის მონტაჟი;
- გარემონტდა სხვადასხვა დასაცავი ობიექტების დასაცავად საჭირო 19 ცალი დაცვის საგუშაგო ჯიხური;
- საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა 30 ერთეული მაღალი გამავლობის პიკაპის ტიპის და 30 ერთეული ჰეჩბექის ტიპის ოპერატიული დანიშნულების ავტომანქანა.
- დაცვის ტექნიკური საშუალებებით დასაცავი ობიექტების პერიმეტრული დაცვისათვის შეძენილ იქნა 600 ცალი საკონტროლო პანელი.